

მასალის ათვისების თავისებურებები ბილინგვურ ბავშვებთან სწავლების დაწყებით საფეხურზე

სოფიკო ჭილაძე
გვანცა შავშიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„ როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სოფიკო ჭილაძე/ს.ჭილაძე/

გვანცა შავშიშვილი/გ.შავშიშვილი/

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დისერტაციას, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, სოფიკო ჭილაძემ და გვანცა შავშიშვილმა განვახორციელეთ, რომელიც ეძღვნება ბილინგური სწავლების მეთოდოლოგიას, მასალის ათვისების თავისებურებებს ბილინგურ ბავშვებში, სკოლაში ბილინგური სწავლების სოციალიზაციას.

ბილინგური სწავლება გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ორ ენაზე განათლების მიღებას.

ნაშრომი დაეფუძნა პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგიას. აღნიშნული კვლევის მიზანი გახლავთ ქალაქ გარდაბნის N3 საჯარო სკოლის ბავშვებისათვის საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესება, მათი დაინტერესება ბილინგური სწავლებით. შევხვდით სკოლის დირექტორს ბატონ აიათ მეხრაბოვს. დეტალურად გავაცანით ჩვენი მისვლის მიზანი და ავიღეთ ნებართვა კვლევის განხორციელების შესახებ.

სკოლის დირექტორთან შეხვედრის შემდეგ შევხვდით ქ. გარდაბნის N3 საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის პედაგოგებს, წარვუდგინეთ პრეზენტაცია პრაქტიკული კვლევის შესახებ. გავარკვეეთ ისინი პრაქტიკული კვლევის არსსა და დანიშნულებაში, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკულ კვლევას სკოლისათვის და ხაზი გავუსვით მათი მონაწილეობის როლს მიღებულ კვლევის პროცესში.

კვლევა ძირითადად განხორციელდა თვისობრივი მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდით კვლევამ საშუალება მოგვცა უფრო სრულყოფილად შეგვესწავლა საკვლევო საკითხები:

1. მეხუთე კლასის მოსწავლეებში ახალი მასალის ათვისების პრობლემური საკითხები;
2. გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგად ახალი მასალის ახსნის და გაგების სპეციფიკა;
3. მოსწავლეებში ათვისების ხელისშემშლელი ან პირიქით, ხელისშემწყობი ფაქტორები;
4. მასწავლებლის როლი ახალი საკითხის შესწავლის დროს;
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეუწყობს თუ არა ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

კვლევის განმავლობაში სწორად და გეგმილმად აგანხორციელებულ მინტერვენციებმად აგვანახა, რომ საკვლევ სკოლაში მასალის ათვისების ხარისხი გაიზარდა.

სარჩევი

განაცხადი-----გვ.2

აბსტრაქტი-----გვ.3

შესავალი-----გვ.6

ბილინგვური ოჯახების ტიპები----გვ.7

1.1 პრობლემები -----გვ.8

1.2 ოჯახური ბილინგვიზმის კატეგორიები-----გვ.10

1.3 ერთდროული ბილინგვიზმი-----გვ.11

1.4 თანმიმდევრული ბილინგვიზმი-----გვ.12

1.5 რეალობა ბავშვებში ბილინგვიზმის შესახებ-----გვ.13

2. ენის ფუნქციები და გამოყენება-----გვ.14
 - 2.1 ენის გამოყენება-----გვ.14
 - 2.2 ენის არჩევანი-----გვ.16
3. ბილინგვიზმი და ყურადღებიანობა კომუნიკაციაში-----გვ.17
 - 3.1 კომუნიკაციისადმი ყურადღებიანობა საავადმყოფოს პერსონალში-----გვ.18
 - 3.2 ეფექტური მოსაუბრისა და მსმენელის თავისებურებები-----გვ.19
4. მოსმენის-ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება ბავშვებში ბილინგური სწავლებისას -----გვ.20
 - 4.1. ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები და მისი აღმოფხვრა-----გვ.24
5. ბავშვები, როგორც თარჯიმნები-----გვ.26
6. ბილინგვიზმის საზომები-----გვ.27
 - 6.1. ადამიანთა ორენოვნების გაზომვა-----გვ.27
 - 6.2. ენების ცოდნის გაზომვა-----გვ.28
 - 6.3 ენათა ბალანსის საზომები ---გვ.30
 - 6.4 ენის ცოდნის გაზომვის თავისებურებანი ორენოვან ადამიანებში---გვ.31
7. ენის კრიტიკული ტესტირება---გვ.34
8. ორი ენის ფლობა---გვ.35
 - 8.1 ორენოვანთა ენის ცოდნის სტრუქტურა---გვ.36
9. კვლევის შედეგები ---გვ.37
10. ინტერვენციების განხორციელება ----გვ.42
11. კვლევის ხელისშემშლელი ფაქტორები -----გვ.45
 - რეკომენდაციები-----გვ.46
 - დასკვნა-----გვ.47
 - გამოყენებული ლიტერატურა-----გვ.48